საიდ. №85023/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №106-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „ქართული სადისტრიბუციო-მარკეტინგული კომპანიის“ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №106-03/16), რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 29 ივლისის №1722/03 ბრძანების ბათილად ცნობა და კომბინირებული სასაქონლო ნიშნის

(საიდ. N85023/03) რეგისტრაცია საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე, 30-ე და 35-ე კლასები).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 29 ივლისის N1722/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,თ'' ქვეპუნქტის თანახმად „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი შეიცავს რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში ცნობილი პიროვნების სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს, პორტრეტს – ამ პიროვნებასთან ან მის მემკვიდრეებთან შეუთანხმებლად, ხოლო თუ ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას წარმოადგენს –საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანხმობის გარეშე“. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის სტადიაზე განმცხადებელმა წარმოადგინა წერილი კულტურის სამინისტროდან, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა განხორციელდეს მემკვიდრეებთან შეთანხმებით. ამ ეტაპზე თანხმობა მემკვიდრეებისგან სასაქონლო ნიშანში „ბარბარე ჯორჯაძის“ სახელის და გვარის გამოყენების თაობაზე არ არის წარმოდგენილი. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი შპს „ქართული სადისტრიბუციო-მარკეტინგული კომპანიის“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებულ ბრძანებაში არაფერია ნათქვამი ამ პიროვნების საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანხმობის არწარმოდგენის ფაქტი არ გამხდარა ბრძანებით უარის თქმის

საფუძველი. არსებობს „საქპატენტის“ 01.09.2016წ. ბრძანება N53 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ, რომელიც ამბობს, რომ საგანაცხადო მასალებში არსებული კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილი არ ადასტურებს ერთმნიშვნელოვნად, რომ ბარბარე ჯორჯაძე არ წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას. აპელანტის მითითებით, ვერ დგინდება, რომ ბარბარე ჯორჯაძე წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას. ასევე, ვერ დგინდება ბარბარე დავითის ძე ერისთავ-ჯორჯაძის (1833-1895წ.წ.) მემკვიდრეთა არსებობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 29 ივლისის №1722/03 ბრძანების ბათილად ცნობას და კომბინირებული სასაქონლო ნიშნის

(საიდ. N85023/03) რეგისტრაციას საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შეიცავს რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში ცნობილი პიროვნების სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს, პორტრეტს – ამ პიროვნებასთან ან მის მემკვიდრეებთან შეუთანხმებლად, ხოლო თუ ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას

წარმოადგენს –საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანხმობის გარეშე“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული ნიშანი შეიცავს საქპატენტში რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე საქართველოში ცნობილი პიროვნების „ბარბარე ჯორჯაძის“ სახელსა და გვარს. ბარბარე ჯორჯაძე არის ცნობილი წიგნის - „სრული სამზარეული“ ავტორი, რომელიც პირველად 1914 წელს გამოიცა. ეს იყო პირველი წიგნი ქართულ ისტორიაში, რომელშიც გადმოცემული იყო ქართული და ევროპული კერძების რეცეპტები. აღნიშნული წიგნი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. ის, რომ ბარბარე ჯორჯაძე წარმოადგენს საქართველოში ცნობილ პიროვნებას, ამას არც აპელანტი ხდის სადაოდ. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ აპელანტმა არაერთხელ მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანხმობის მოსაპოვებლად. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის 25 თებერვლის N04/13-1029 და 2016 წლის 14 სექტემბრის N05/13-4027 წერილების შესაბამისად, კულტურის სამინისტრომ მიიჩნია, რომ სასაქონლო ნიშანში ცნობილი პიროვნების - „ბარბარე ჯორჯაძის“ სახელის გამოყენების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მის მემკვიდრეებთან შეთანხმების საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილია, ასევე საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2016 წლის 07 სექტემბრის N16/9337 წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ ერთიან ელექტონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ არის რეგისტრირებული ჩანაწერი ბარბარე ჯორჯაძის ქონებაზე საქმის წარმოების მიმდინარეობის თაობაზე. კოლეგიას მიაჩნია, რომ ვინაიდან ბარბარე ჯორჯაძე არ წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას და არ ჰყავს მემკვიდრეები განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი

(საიდ. N85023/03) უნდა დარეგისტრირდეს მთლიანობაში, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნა „ბარბარე ჯორჯაძე“ ნიშანში უნდა შევიდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის გარეშე. კოლეგიას მიაჩნია, რომ მართალია ბარბარე ჯორჯაძე არ წარმოადგენს საქართველოს ისტორიისა და კულტურის კუთვნილებას, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი წარმოადგენს საქართველოში ცნობილ პიროვნებას, შესაბამისად არ შეიძლება საქართველში ცნობილი პიროვნების სახელი და გვარი გახდეს ერთი კონკრეტული პირის საკუთრება და ჰქონდეს განსაკუთრებული უფლებები მასზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის (საიდ. N85023/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ქართული სადისტრიბუციო-მარკეტინგული კომპანიის“ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნეს ცნობილი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 29 ივლისის №1722/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი (საიდ. N85023/03) დარეგისტრირდეს საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

უ. ოშხნელი